ხელშეკრულება № 34

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ
(CPV 15510000, 15540000, 15820000, 15830000, 15840000, 15860000)

ქ. თბილისი **„2" მარტი 2015 წ**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი", წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, სს „გუდვილი" წარმოდგენილი დირექტორის ნუგზარ გაბრიჭიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ь^1$ ქვეპუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის" პროდუქტის მიწოდებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება არის 144 (ასორმოცდაოთხი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. სამუშაოს სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" პროდუქტის მიწოდებას წინასწარი ინვოისის მიხედვით.

3.2. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. "მიმწოდებელი" ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა; სასაქონლო ზედნადები; ინვოისი) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 5 აპრილამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', ერთი ეგზემპლარი - ,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	**,,მიმწოდებელი"**
სსიპ „მწერალთა სახლი"	სს „გუდვილი"
ს/კ 205299005	ს/კ 206 343 991
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13	მის: თბილისი. ჭავჭავაძის გამზ. № 9
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02	ტელ: 224 23 00
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	**<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>**
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
TRESGE22	BAGAGE22
სახაზინო კოდი 33 02 01 27	GE60BG0000000704007300
დირექტორ-მენეჯერი:	**დირექტორი**
ნატალია ლომოური	**ნუგზარ გაბრიჭიძე**

წინასწარი ინვოისი №
01/03/2015

გამყიდველი: სს "გუდვილი"-სუპერმარკეტი "გუდვილი-ვაკე"
საიდ. კოდი: 206343991
მისამართი: თბილისი,ჭავჭავაძის გამზ.34
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშის № GE60BG0000000704007300

მყიდველი: სსიპ "მწერალთა სახლი"
საიდ. კოდი: 205299005
მისამართი: მაჩაბლის ქ.13
ბანკი:
საბანკო კოდი:
ანგარიშის №

№	შტრიხკოდი	საქონლის დასახელება	განზომ.	ფასი (ლ.)	ფ.დ.%	რაოდ ენობა	თანხა
1	4607126190538	E-ვაფლის პური ხორბლის ქატოთი 85 გრ	ცალი	1.75		2.000	3.50
2	2000933	BAYERNLAND-ყველი "გაუდა" 48%	კილოგრამი	20.50		0.252	5.17
3	2000932	BAYERNLAND - ყველი "ედამი" 40%	კილოგრამი	20.50		0.258	5.29
4	4860004390172	ვილნიუსი (400გრ პური)	ცალი	1.67		1.000	1.67
5	4607126190040	E-ვაფლის პური სანელებლებით 80 გრ	ცალი	1.75		1.000	1.75
6	4607126190026	E-ვაფლის პური ჭვავის ვიტამინით და რკინით 80 გრ	ცალი	1.75		1.000	1.75
7	4311596407910	G&G - ხრაშუნა პური სეზამით	ცალი	3.34		1.000	3.34
8	4311596407897	G&G-ჭვავის ხრაშუნა პური	ცალი	3.34		1.000	3.34
9	4815105001151	ხრაშუნა პური დიეტური 3 მარცვლეულის უჯრედისითა და გაღვივებული ხორბლით 60 გრ	ცალი	0.65		2.000	1.30
10	4815105001137	ხრაშუნა პური ჭვავის დიეტური, ქატოთი 60 გრ	ცალი	0.65		2.000	1.30
11	2101010279344	შაქარი 1კგ.	ცალი	1.70		2.000	3.40
12	4605246003738	GREENFIELD - მწვანე ჩაი "ჯასმინ დრიმ" 2გრX25ც	ცალი	4.45		1.000	4.45
13	4605246003585	GREENFIELD - მწვანე ჩაი "ფლაინგ დრაგონ"2გრX25ც	ცალი	4.45		1.000	4.45
14	7622210174031	JACOBS- ხსნადი ყავა 300გრ + 100გრ 7622210174031	ცალი	30.20		1.000	30.20
15	4606272032587	NESTLE-შავი შოკოლადი თხილით 90გ	ცალი	2.20		1.000	2.20
16	4606272032617	NESTLE- შავი შოკოლადის ფილა 22X90გრ	ცალი	2.20		1.000	2.20
17	4823001400527	" კორონა"-შოკოლადის ფილა რძიანი დანამატის გარეშე 100 გრ.	ცალი	1.95		2.000	3.90
18	4823001400398	" კორონა"-შოკოლადის ფილა შავი ქიშმიშითდა თხილით 100 გრ.	ცალი	1.95		2.000	3.90
19	7622210118196	ALPEN GOLD-შოკოლადის ფილლა თხილით და ქიშმიშით 100გრ	ცალი	1.90		2.000	3.80
20	4869002005095	Alpen Gold - შოკოლადის ფილა თხილით 1+1	ცალი	3.10		2.000	6.20
21	4602358003328	"კოროვკა იზ კორენოვკი"-შესქელებული რძე 270 გრ. დოი-პაკი 8,5%	ცალი	2.50		3.000	7.50
22	4311596467822	G&G-ორცხობილას ასორტი	ცალი	4.90		1.000	4.90
23	2021120	პეჩენია დარიჩინის	კილოგრამი	12.00		0.458	5.50
24	6408432052613	VALIO-ყველი "ვიოლა" ჩვეულებრივი (ფენა) 150გრ	ცალი	2.20		5.000	11.00
25	4448888881155	"უბილენოე"-ნამცხვარი 1+1 252გრ	ცალი	1.90		2.000	3.80
26	40423043	BAYERNLAND-ხაჭო -ყველი ჩვეულებრივი 200გრ	ცალი	4.39		2.000	8.78
27	4607037120839	PRESIDENT-ნაღების მდნარი ყველი 45% 400გრ	ცალი	9.39		1.000	9.39
							143.97

შენიშვნა

№	შტრიხკოდი	საქონლის დასახელება	განზომ.	ფასი (ლ.)	ფ.დ.%	რაოდ ენობა	თანხა

სულ გადმოსარიცხი თანხა: 143.97 ას ორმოცდასამი ლარი და 97 თეთრი

ინვოისი ძალაშია: **დღის განმავლობაში**

გამყიდველი:

სს "გუდვილი"-სუპერმარკეტი"გუდვილი-ვაკე"

მყიდველი:

სსიპ "მწერალთა სახლი"